ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №66 სხდომის ოქმი

2012 წლის 19 ნოემბერი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. აკადემიური საბჭოს სხდომის მდივნის არჩევა;
2. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორის, დავით აფრასიძის განცხადების ცნობად მიღება აკადემიური საბჭოს შემადგენლობიდან მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
3. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის განათლების მიმართულების დოქტორანტის, თამარ ბრეგვაძის სადისერტაციო თემისათვის რეცენზენტებისა და სადისერტაციო საბჭოს შერჩევის საკითხის განხილვა;
4. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ჰუმანიტარული მიმართულების დოქტორანტის, ირინა ლობჟანიძის სადისერტაციო თემისათვის რეცენზენტების და სადისერტაციო საბჭოს შერჩევის საკითხის განხილვა;
5. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მ/შ ლელა ხომერიკის წარდგინების განხილვა სამეცნიერო პერიოდული გამოცემისათვის „ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი“ უნივერსიტეტის ლოგოს გამოყენების შესახებ და გადაწყვეტილების მიღება;
6. უნივერსიტეტის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის განხილვა;

7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმებულ პირთა საქმიანობაში ფანანსური ანაზღაურების შეუთავსებლობის შესახებ წესის განხილვა;
8. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების წესის განხილვა, რომელიც სამეცნიერო და აკადემიურ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს ფარგლებს გარეთ;
9. ბიზნესის ფაკულტეტის სასერტიფიკატო პროგრამა: *„იტალიური ენის პრაქტიკული კურსი: დონე A1-1.“ განხილვა და დამტკიცება;*
10. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ვიზუალური ანთროპოლოგიისა და ლოკალური ისტორიის ლაბორატორიის შექმნის საკიხის განხილვა;
11. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის მ/შ თამარ ცოფურაშვილის განცხადების განხილვა ელენე ლადარიას მიერ შემდეგი დასახელების ტექსტის თარგმნასთან დაკავშირებით „ავტორი: LATOUR Bruno, სათაური: Nous n'avons jamais été modernes, ქვესათაური: Essai d'anthropologie symétrique, გამომცემლობა: La découverte . გვერდების რაოდენობა ფრანგულად: 200
   გამოქვეყნების თარიღი: 1992.

12. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე არსებული ენების დიდაქტიკის ცენტრის დირექტორის, ეკატერინე შავერდაშვილის წერილის განხილვა აღნიშნულ ცენტრში ბიზნესის ფაკულტეტზე არსებული „ენების ცენტრის“ პედაგოგებისა და ადმინისტრაციის, ასევე ავსტრიული კულტურის ცენტრის გერმანული ენის პედაგოგების გადაყვანის შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **მაია როგავა - სხდომის მდივანი;**
3. **მარინე ჩხიკვიშვილი;**
4. **მიხეილ ელაშვილი.**

2012 წლის 19 ნოემბრის აკადემიური საბჭოს სხდომაზე დადგინდა:

.

1. **დამტკიცდეს** - აკადემიური საბჭოს სხდომის მდივნად ერთხმად არჩეულ იქნას მაია როგავა;
2. **დამტკიცდეს** - შეუწყდეს უფლებამოსილება აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სრულ პროფესორს და აკადემიური საბჭოს წევრს, დავით აფრასიძეს პირადი გა ნცხადების საფუძველზე, რადგან იგი 2012 წლის 26 ოქტომბრიდან არჩეულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე;
3. **დამტკიცდეს** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის განათლების მიმართულების დოქტორანტის თამარ ბრეგვაძის სადისერტაციო თემის „ფორმალური ზოგადი განათლება და კერძო რეპეტიტორობა, როგორც პარალელური სისტემები“ დაცვისთვის რეცენზენტებად დამტკიცდნენ: ნინო ჯავახიშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ნათელა იმედაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ემერიტუსი; სადისერტაციო საბჭო კი განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: დავით აფრასიძე -სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ემზარ ჯგერენაია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, თამარ ტალიაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

4. **დამტკიცდეს** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ჰუმანიტარული მიმართულების დოქტორანტის, ირინა ლობჟანიძის სადისერტაციო თემის „იდიომების სტრუქტურა და სემანტიკა ქართულში (შედარებითი-შეპირისპირებითი ანალიზი: ინგლისური, ახალი ბერძნული და რუსული ენების მასალის საფუძველზე)“ დაცვისთვის რეცენზენტებად განისაზღვრონ: იზაბელა ქობალავა - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ემერიტუსი, ანა ჩიქოვანი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რეზო მარსაგიშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ხოლო სადისერტაციო საბჭო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: ნინო დობორჯგინიძე, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე - ილიას სახლმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ეკატერინე შავერდაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, მაია თევზაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ლია ლორია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ემერიტუსი, თამარ სუხიშვილი-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
5. **დამტკიცდეს** - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 10.08.12№02-7845/12 დასკვნისა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტისა და საინჟინრო ფაკულტეტის გადაწყვეტილებით, წარმოდგენილ სამეცნიერო პერიოდულ გამოცემას “ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი“ მიეცეს უფლება, გამოიყენოს უნივერსიტეტის ლოგო;
6. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი უნივერსიტეტის სტრუქტურა და ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგი და დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;
7. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას წარმოდგენილი თანდართული წესი „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმებულ პირთა საქმიანობაში საფინანსო ანაზღაურების შეუთავსებლობის შესახებ“ „ და საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;
8. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას წარმოდგენილი, „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების წესი, რომლებიც სამეცნიერო და აკადემიურ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს ფარგლებს გარეთ“ და საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;
9. ***დამტკიცდეს*** - სასერტიფიკატო პროგრამა „იტალიური ენის პრაქტიკული კურსი: დონე A1-1“;

10. ***დამტკიცდეს*** - მოწონებულ იქნას მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ვიზუალური ანთროპოლოგიისა და ლოკალური ისტორიის ლაბორატორიის შექმნის საკითხი და დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;

11. ***დამტკიცდეს*** - *მოწონებულ იქნას* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის მ/შ თამარ ცოფურაშვილის ინიციატივა და მიეცეს თანხმობა დოქტრნატ ელენე ლადარიას, თარგმნოს შემდეგი ტექსტი: „ავტორი: LATOUR Bruno, სათაური: Nous n'avons jamais été modernes, ქვესათაური: Essai d'anthropologie symétrique, გამომცემლობა: La découverte . გვერდების რაოდენობა ფრანგულად: 200 გამოქვეყნების თარიღი: 1992. დაევალოს უნივერსიტეტის გამომცემლობას შესაბამისი პროცედურების გატარება;
12. ***დადგინდეს*** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით და ამავე ფაკულტეტის პროფესორის, ენების დიდაქტიკის ცენტრის დირექტორის, ეკატერინე შავერდაშვილის წერილის გათვალისწინებით მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გადავიდნენ ბიზნესის ფაკულტეტის ენების ცენტრის თანამშრომლები (ენების პედაგოგები და ცენტრის ადმინისტრაცია), ბიზნესის ფაკულტეტზე დარჩეს მხოლოდ ინგლისური ენის ცენტრი, რომლის მენეჯმენტს და ინგლისური ენის სწავლებას ახორციელებს ფილიალი ბრიტანეთის საბჭო საქართველოში, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ენების დიდაქტიკის ცენტრში ასევე გადავიდნენ ავსტრიული კულტურის ცენტრში დასაქმებული გერმანული ენის პედაგოგები, საკითხი ეცნობოს წარმომადგენლობით საბჭოს.

საბჭოს თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

საბჭოს მდივანი

მაია როგავა